ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2011 წლის აგვისტო

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი საფასურისა და სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ"ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 19^2 მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს №659 ბრძანებულების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი საფასურის განსაზღვრის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის წესი დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გასაცემი ფართის ერთ კვ. მ-ზე საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 10 ივლისის №23 დადგენილება.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 07.12.2011 წ.
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 02.03.2012 წ.

დანართი №1

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი საფასურის განსაზღვრის წესი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვრება:

ა) ბალანსმფლობელის (მოსარგებლის) მიერ მოწოდებული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის საპრივატიზებო საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვრება:

ა) ნარჩენი საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმოების აქციების/წილის საპრივატიზებო საწყისი საფასური პრივატიზებისას არ უნდა იყოს რეგისტრირებულ კაპიტალზე ნაკლები.

დანართი №2

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის წესი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით გადაცემისას წლიური საწყისი საფასური განისაზღვრება ნარჩენი საბალანსო ან დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი ღირებულებებით.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გაცემისას საწყისი წლიური საფასურის (ქირის) ოდენობა განისაზღვრება:

ა) 1 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – მისი საპრივატიზებო საწყისი საფასურის 7 (შვიდი) პროცენტით;

ბ) სხვა უძრავ ქონებაზე:

ბ.ა) ქალაქ ახმეტაში მდებარე უძრავ ნივთებზე – მისი საპრივატიზებო საწყისი საფასურის 7 (შვიდი) პროცენტით;

ბ.ბ) სოფლებში მდებარე უძრავ ნივთებზე (გარდა ,,ბ.გ“ ქვეპუნქტში მითითებული უძრავი ქონებისა) – მისი საპრივატიზებო საწყისი საფასურის 5 (ხუთი) პროცენტით;

ბ.გ) ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საძოვრებზე – 1 ჰექტარზე 25 ლარით;

გ) მოძრავ ნივთებზე – მისი საპრივატიზებო საწყისი საფასურის 10 (ათი) პროცენტით.

3. წილებისა და აქციების საჯარო აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემისას საფასურის ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 07.12.2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 02.03.2012 წ.